ბორჯომი

30 მარტი
ხუთშაბათი
2023 წელი
№14 (9276)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

ამერიკის ელჩი სამცხე-ჯავახეთში

ვიზიტის ფარგლებში კელი დეგნანი სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას ეწვია, სადაც სახელმწიფო რწმუნებულმა **ბესიკ ამირანაშვილმა** უმასპინძლა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რწმუნებულის პირველი მოადგილე **დავით ვარდიაშვილი,** მოადგილე **შოთა როსტაშვილი** და სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურის ხელმძღვანელები.

შეხვედრაზე ელჩს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გააცნეს. დადებითად შეფასდა ბაკურიანში ჩატარებული სნოუბორდის, ფრისტაილისა და ფრისკის მსოფლიოს ჩემპიონატი. აღსანიშნავია, რომ დაბა ბაკურიანი 2025 წელს ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალსაც უმასპინძლებს, რაც საერთაშორისო მასშტაბით ბაკურიანის, როგორც სამთო კურორტის ცნობადობას კიდევ უფრო მეტად გაზრდის.

აგრეთვე საუბარი შეეხო რეგიონის მასშტაბით მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლების სიმრავლით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, მრავალფეროვანი და გამორჩეული მხარეა, ამრიგად მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტები ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას, ამ მხრივ მნიშვნელოვანია რეგიონში აგროტურიზმის განვითარება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მიცემს განავითარონ სოფლის მეურნეობის დარგები და მიიღონ მეტი სარგებელი. ტურიზმის განვითარება პირდაპირპროპორციულად აისახება თითოეული ოჯახისა და რეგიონის კეთილდღეობაზე.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა ის პროექტები, რომელიც რეგიონში ხორციელდება ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, რისთვისაც მასპინძელმა მხარემ მადლიერება გამოხატა ამერიკელი ხალხისა და მთავრობის მიმართ და წარმატებები უსურვა ქალაქ კელი დეგნანს მომავალ საქმიანობაში.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მოქმედებაში

ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების გამოსავლენად დასახლებების საერთო კრებები და მოსახლეობასთან კონსულტაციები დასრულდა.

მაღალმთიანი სოფლების: ტაბაწყურის, მოლითის, ბალანთის და ჭიხარულას მოსახლეობასთან შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** ადგილობრივი თვითმართველობისა და დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბოლო შეხვედრა მაღალმთიანი სოფლების: ბაკურიანის, ანდეზიტის, თორის, დიდი და პატარა მიტარბის მოსახლეობასთან გაიმართა. შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** ადგილობრივი თვითმმართველობისა და დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 1 308 000 ლარის ღირებულების 33 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 436 000 ლარი გამოიყო, ხოლო ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს“ ტანხა კიდევ დაემატება. ათასი ლარი დაამატა.

მუნიციპალიტეტის 11 ტერიტორიულ ერთეულის 33 სოფელში, პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები ადგილობრივებმა საერთო კრებებზე ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს.

აღნიშნული პროექტების ნუსხას, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია შესათანხმებლად წარმომადგენლობით ორგანოს საკრებულოს სხდომაზე მოსაწონებლად წარუდგენს.

სკვერების მოწყობა, სასმელი და სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, საბავშვო ატრაქციონების მოწყობა, სასაფლაოების შემოღობვა, გარე განათების ლამპიონების მოწყობა - ეს იმ ინფრასტრუქტურული პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომელიც 2023 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდება.

საინფორმაციო შეხვედრა



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის თანამშრომლებმა - დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ნინო ვალიკოვმა** და მთავარმა სპეციალისტმა **მარიამ მახარაძემ** ბორჯომის მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლებთან, ბორჯომის მერიის წარმომადგენლებთან და აღსაზრდელების მშობლებთან.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სახალხო დამცველის მანდატის, შშმ პირთა უფლებების დეპარტამენტის საქმიანობის, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთა აღსრულების ნაწილში არსებულ გამოწვევებზე, შშმ პირთა უფლებებსა და საჭიროებებზე. შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში გაიმართა.

საინფორმაციო შეხვედრა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით გაიმართა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

24 მარტს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ხალვაშვილი.**

დეპუტატებმა მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის შესრულების ანგარიში. მომხსენებელი ბორჯომის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** ასევე მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე **მაია მახარაძვილის** ანგარიში.

ცვლილებები შეიტანეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და დაბებზე თანხის გადანაწილების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 თებერვლის №-17.17230553 განკარგულებაში.

დაამტკიცეს სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების შემოწმების აქტის, უწყების, დადგენილების და სააღსრულებლო ფურცლის ფორმები.

დეპუტატებმა დაამტკიცეს მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესი.

ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №54 და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №56. „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №57 და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №55 და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №58 დადგენილებებში.

დეპუტატებმა მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბის და ყვიბისის ადმინისტრაციულ ერთეულებში გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესასვვევი) სახელდების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინიციატივის საფუძველზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესასვვევი) სახელდების შესახებ.

ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №-17.17213586 განკარგულებაში, ამასთან **სალომე თედელური** აირჩიეს გენდერული საბჭოს თავმჯდომარედ.

დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს II კვარტალის სამუშაო გეგმა.

ასევე დაამტკიცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა 2023 წლის 20 იანვრის პეტიციასთან დაკავშირებით.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან

23 მარტს, კინოთეატრ „ბაკურიანის“ დარბაზში სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე **ალექსანდრა ორჯონიკიძე** ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

შეხვედრის მიზანს „განახლებული რეგიონების ფარგლებში“ მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხილვა წარმოადგენდა.

- ბევრი მწვავე პრობლემის წინაშე დგას დღეს ბაკურიანი, ერთი წელია შეიქმნა სააგენტო და არ ვბოგავთ ენერგიას, რომ ბაკურიანი გასდეს ევროპულ სტანდარტებთან მისადაგებული კურორტი, ვაცნობიერებთ, რომ მთავარი გამოწვევა კვლავ წყლის და გზის საფარის მოწესრიგებას უკავშირდება, თუმცა აღნიშნული ჩვენს ფუნქციებს და კომპეტენციას სცდება, მაგრამ ვიმყოფებით მუდმივ კომუნიკაციაში შესაბამის უწყებებთან, რომ უახლოეს მომავალში აღმოიფხვრას პრობლემები, ასევე გამოვდივარ ინიციატივით, რომ მოვაწყოთ დასუფთავების კვირეული, რომელშიც ჩართული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა და კერძო სექტორი, აუცილებელია ერთად ვიზრუნოთ იმ გარემოზე, სადაც ვცხოვრობთ, გავუფრთხილდეთ და დავაფასოთ ერთმანეთის შრომა, - განაცხადა სააგენტოს თავმჯდომარე **ალექსანდრა ორჯონიკიძე.**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში დაბა ბაკურიანში, ქუჩების ცენტრალური იერსახის და შეფერადებანგებობების ფასადების მოწესრიგება აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს.

- ძალიან მინდა მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრების ტრადიცია დავნერგო, გნებავთ სამ კვირაში ერთხელ, გნებავთ თვეში ერთხელ. მოსახლეობა ყოველთვის საქმის კურსში უნდა იყოს დეტალურად რა და როგორ კეთდება ბაკურიანში. ასევე მინდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოჯახს ვიცნობ აქ, აქტიურ კომუნიკაციაში ვიყოთ ერთმანეთთან. ჩემი კაბინეტის კარი ყოველთვის ღიაა, ერთმანეთთან აუცილებლად უშუალოდ და ღიად ვიყოთ.

ძალიან ბევრი საკითხი დაგროვდა და ზუსტად ამიტომაც მინდა მოსახლეობასთან შეხვედრები იყოს ხშირი. ასევე, როგორც ადრე დავაანონსე, მინდა ტრადიციად ვაქციო თეატრალური დასების მოწვევა ბაკურიანში, რომ კულტურული ღონისძიებები მეტი იყოს და ამ კუთხითაც გამოვცოცხლდეთ. ვაპირებ ცალკე სპორტული თემატიკის კუთხითაც მოვაწყო შეხვედრა, რადგან პრობლემა აქაც ძალიან ბევრია.

დღევანდელი შეხვედრა დასუფთავების თემით მინდა დავიწყო. ჩვენი დასუფთავების სამსახური დაუღალავად შრომობს. მაგრამ ბაკურიანი მაინც ნაგავს მიაქვს, ამ ბიჭებმა რამდენი საქმე შეიძლება შეითავსონ. ამიტომ მოუწოდებ მოსახლეობას სამოქალაქო პასუხისმგებლობისაკენ, რომ ისინიც აქტიურად ჩაერთონ საკუთარი ეზოებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებაში, ნუ დაყრიან ნაგავს ისეთ ადგილებში, სადაც არ შეიძლება დაყრა. ურნების დადგმა თითქმის ყოველ სახლთან შეგვიძლია, ამის რესურსი გვაქვს, მაგრამ არავის არ გვინდა ბაკურიანი ურნების დაბად ვაქციოთ. ამიტომაც სასურველია ერთმანეთს ხელი შეუწყოთ საქმიანობაში, რომ ბაკურიანი ალარ იყოს ასეთი ბინძური.

ვგეგმავთ გრანდიოზულ გამწვანებას დაბაში, რომ ის ნამდვილ რეკრეაციულ კურორტს დაემსგავსოს და არა მტვრიან და ჭუჭყიან დაბას. მოვაწყობთ გამწვანების კუნძულებს, პატარა სკვერებს მარადმწვანე ნარგაეებით და აშ.

ასევე განხილება დასუფთავების გადასახდელის გაზრდა, რომელიც მთლიანად ისევ ბაკურიანის მოწესრიგებას მოხმარდება.

შეხვედრაზე დადებითად შეფასდა ტრანსპორტის (ავტობუსების) მოძრაობა მსოფლიო ჩემპიონატის დროს და მოსახლეობამ მხარი დაუჭირა იმ იდეას, რომ ავტობუსებმა არასეზონზეც უნდა იმუშაონ განრიგით.

ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის დასრულება ივნისის ბოლოს იგეგმება.

დამუშავების პროცესშია ავტოსადგურის გადატანა რიტუალების სახლის მიმდებარედ და ეს კიდევ დამატებით განტვირთავს ცენტრალურ ქუჩას.

ასევე თანმდევი პროცესია საჰაერო კომუნიკაციების მიწისქვეშ განთავსება, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და „სოკარ ჯორჯია გაზის“ ხელმძღვანელობასთან.

დაგეგმილია ბაკურიანის და დიდი მიტარბის წყალარინების სრული პროექტი. ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა.

სამუშაო პროცესებს კოორდინაციას უწევს სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“.

საღღეისო თემაზე

რამ გამოიწვია ვნებათაღელვა საქართველოში?!

საქართველოში უკანასკნელ დღეებში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია გულგრილს ვერ ტოვებს იმ ადამიანებს, რომლებსაც გულწრფელად უყვართ სამშობლო. „უცხოური გავლენის აგენტის“ კანონ-პროექტის განხილვა 2 მარტს პარლამენტში მომხდარი დაძაბული სიტუაციით დაიწყო და 7-8-9 მარტს „მშვიდობიანი“ აქციით გაგრძელდა და არც თუ სასიამოვნო ფინალით დასრულდა. აქციის მონაწილეებსა და პოლიციასთან შეტაკებას 60-მდე სპეცნაზელი დაზიანდა, დააკავეს აქციის 100-ზე მეტი მონაწილე. ხელისუფლება იძულებული გახდა კანონპროექტი, რომელიც ვენეციის კომისიას გადაუგზავნა უკან გამოითხოვა, რითაც გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. როგორც ცნობილი პოლიტიკური ანალიტიკოსები აცხადებენ „ოცნებამ“ ყველაფერი წყალში გადაყარა და საკუთარ კაპიტულაციას მოაწერა ხელი, ფაქტიურად, ანტიეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს. ოპოზიციამ კარგად გააცნობიერა ხელისუფლების უკან დახევის და დაღმასვლის სამწუხარო მომენტი. მათ დამფინანსებლებმა კარგად იციან, რა გზებით შეიძლება ხელისუფლების დამარცხება, რადგან თუ ერთხელ დათმეს, კიდევ დათმობენ. ბნელი ანტიეროვნული ძალები ამიერიდან კიდევ უფრო გააააქტიურებენ ულტიმატუმის ენით პრეტენზიების წამოყენებას.

შეცდომა, რომელიც „ოცნებამ“ დაუშვა, ადვილი გამოსასწორებელი არ იქნება, კანონპროექტის არსი დაწვრილებით უნდა განემარტათ მოსახლეობისათვის, პარში დამარცხდნენ.

აღნიშნული კანონი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოქმედებს და ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანია. გასარკვევია და შესასწავლი, რომელიმე უცხოური ჯგუფი ან ქვეყანა ხომ არ მოქმედებს შემოსული თანხებით ქვეყნის საწინააღმდეგოდ.

ბუნებრივია იბადება კითხვა, რამ გამოიწვია ამხელა აჟიოტაჟი ამ კანონის მიღების გამო?

როგორც საქმეში ჩახედული ექსპერტები და პოლიტიკოსები ამბობენ, ამ კანონის მიღებით ფარდა აეხდებოდა იმ უზარმაზარ საექვო თანხების შემოდინებას ქვეყანაში, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები განკარგავენ, გამჭვირვალე გახდებოდა ოპოზიციის და ენჯეოების წარმომადგენლების ქონება, რომლებიც არც თუ ცუდად ცხოვრობენ და ნებივრობენ, პრივილეგირებულები არიან ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობებით.

სამწუხარო ისაა, რომ ევროკავშირის ცალკეული დეპუტატები საქართველოში მიღებულ კანონს აკრიტიკებდნენ და უარყოფდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ევროკავშირში, ევროპის ცალკეულ ქვეყნებში თვითონ დაიწყეს აღნიშნული კანონის მიღებაზე მუშაობა. საკითხავია, თუ საქართველოსათვის მიუღებელი იყო ეს კანონი თვითონ რატომ იღებენ, ისევ ორმაგი სტანდარტია მოქმედებაში.

ერთმანეთთან სიყვარული ვამოციქულოთ

ჩვენ ერთიანობა გვინდა და გაერთიანების საშუალებას არ გვაძლევენ.

ინტელიგენციის ნაწილს ყურადღება გადატანილი აქვს საკუთარ კეთილდღეობაზე. ყველანაირად ცდილობენ საკუთარი მოიწყონ კარგად და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მისმა შთამომავლობამ ბედნიერად იცხოვროს, გაეცანით ხელისუფლების სათავეში მყოფ ადამიანების, პარლამენტართა ბიოგრაფიებს, გაიკითხეთ სად სწავლობენ მათი შვილები და აპირებენ თუ არა სამშობლოში დაბრუნებას.არავის აღელვებს სხვისი ბედი.

თითქმის 30 წელია ვამბობთ, რომ მივაღწიეთ თავისუფლებას, ვცხოვრობთ დემოკრატიულ სახელმწიფოში და ა.შ. თუ ეს არის თავისუფლება და დემოკრატია, შემირცხვენია ერთიც და მეორეც. თავისუფლებას დიდი განმარტება არ ესაჭიროება. **თვითონ სიტყვა გეუბნება შენი თავის უფალი შენვე უნდა იყო.** სამწუხაროდ ჭკუა ვერ ვისწავლეთ. საზოგადოებაში ხიდჩატეხილობაა, ერთმანეთის არ გვესმის და არც გვინდა რომ გავიგოთ. ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე არ გვსიამოვნებს ჩვენზე ჭკვიანს მოვუსმინოთ. უფრო მეტიც შეიძლება ვთქვათ ჩვენ ხშირად იმას უფრო ვუსმენთ ვინც ჩვენზე ნაკლები განათლებისაა. არადა ის უფრო უნდა გვსიამოვნებდეს შენზე ჭკვიანს

და განათლებულს რომ ესაუბრებოდე.

მწამს, მოვა დრო და ხიდჩატეხილობა მამათა და შვილთა შორის აღმოიფხვრება. მოდის ჩვენზე ჭკვიანი და გონიერი ახალგაზრდობა, რომლებიც უფრო დამოუკიდებლები აზროვნების არიან და განათლებასაც მეტ ყურადღებას აქცევენ, არ დაივიწყებენ ჩვენს ტრადიციებს, იდენტობას, ისტორიას, მთავარია გვახსოვდეს რა მისია გვაკისრია, რა მიზნით მოვედით, რას შევმატებთ ჩვენს ბედკრულ სამშობლოს და ა.შ.

ახლაც ხშირად გაიგონებთ, რაც კარგები ვართ ქართველები ვართო. მართლა ასეა?! როგორც ცნობილი პოეტი ტარიელ ხირხალაური წერს **„არ ვართ ქართველები ყველაზე უკეთესები, ასე ფიქრმა დაგვლუპა. ამან დაანგრია აზროვნება, ყველაფერი უკეთესი რაც სხვას აქვს, შენ უნდა გადმოიღო, შეითვისო, სხვა ერისგან ის უნდა წამოიღოთ, რაც ჩვენ გვაკლია“**.

როგორც არსდროს დღეს გვჭირდება ფრთხილად ვიაროთ, ყოველი სიტყვა მოზომილი უნდა იყოს. არ დააზიანო შენი ღირსებები,რათა ღირსეულად შეხვიდე ღირსეულ სამყაროში. ფიქრი ვაქციოთ რეალობად.ვერიდოთ რუსეთის მსგავს საშიშ მეზობელს, რაც რუსეთმა ერთმორწმუნე უკრაინას გაუკეთა, შემზარავია, არავითარი გამართლება არ მოეძებნება რუსეთს. ასეთი საშინელ ნაბიჯს მსოფლიომ არ წაუყრუა, იმიტომ არის მობილიზებული მსოფლიო რუსეთის დასამარცხებლად.

ჩვენ პატარა ქვეყანა ვიყავით და ყველაფერი შერჩა. მსოფლიო ახლა მიხვდა რამდენად ღვთივკურთხეული ყოფილა ჩვენი პატარა ქვეყანა. იმპერიული სხარბე არცერთ ქვეყანას არ გამოადგება, სხარბე რუსეთსაც დაღუპავს.

ცხოვრებაში მთავარია გწამდეს შენი შინაგანი მუხტის. სიყვარულის გარეშე არც ტრადიცია ვარგა, არც ზნეობა. თუ სიყვარული არ გაგაჩნია, ვერცერთის დამცველად ვერ გამოდგები, ჩვენს შორის სიყვარული უნდა იყოს მეგზური, ელჩი, ვერაფერმა გადაარჩინა სიცოცხლე სიყვარულის გარდა. წუთისოფელი ხარბია, ძალიან ცოტა დრო გვაქვს სიცოცხლისათვის. **შენმა სხარბემ არ უნდა დაგძლიოს, გაგაბოროტოს, წაგაქეზოს შენი ქვეყნის დასანგრევად. ამიტომ საჭიროა ვამოციქულოთ ერთმანეთთან სიყვარული. დადგა დრო დავამთავროთ მხარეებად დაყოფა და მივხედოთ ჩვენს ბედკრულ ქვეყანას.**

მახსოვს ინსტიტუტში პოლიტეკონომიას გვასწავლიდნენ. კაპიტალისტური სისტემის პროგრამას რომ გავდიოდით, ლექტორი ხშირად გაიმეორებდა ხოლმე **„კაპიტალისტურ ქვეყნებში ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო“**. ახლა, როცა ჩვენც კაპიტალისტურ ქვეყანას ვაშენებთ ნათლად ჩანს, როგორ დავესხეთ ერთმანეთს. **არანაირი ზნეობის, კაცთმოყვარეობის, ეთიკის დაცვა. ადამიანები მოსწრებაზე არიან, ვის რა წაგლეჯონ, რა მიისაკუთრონ, იმას ცდილობენ.**

ასეთი დამოკიდებულება დაღუპავს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას, ნათლად ვხედავთ მესამე მსოფლიო ომი კარს მოგვადგა. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ერის გამთლიანებისათვის, თორემ ქართველთა აკუმპალექი შორს არაა.

ვალერიან ლომიძე.

საშწუხარო რეალობა

– „საქართველოში საშუალო სკოლა აღარ არსებობს. ის საჯარო სკოლამ შეცვალა, რომელიც იგივე ამერიკული „ფაბლიკ სკულია“. ეს სკოლა ამერიკაში გონებასუსტი ბავშვებითვის არის შექმნილი, სათანადო სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით.

ასეთი სკოლების მიზანია ბავშვებისათვის წერა-კითხვისა და ელემენტარული უნარ-ჩვევების სწავლება.

მაგრამ იქ გარდა „ფაბლიკ სკულებისა“ საჯარო სკოლებისა, ფუნქციონირებენ საშუალო, მაღალი და აკადემიური სკოლები, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებით, რაც თანამედროვე სტანდარტების დონეზე განათლების მიღების საშუალებას იძლევა.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, რაც ნიშნავს, რომ მას სამხრეთ აფრიკის სუსტად განვითარებული ქვეყნების კანონებით უნდა ეცხოვრა.

სხვათაშორის, 1992 წელს (ამ დროს განათლების მინისტრის მოადგილე ვიყავი) ამერიკის საელჩოს კულტურის ატაშემ, ჰაჩისონმა განმიმარტა; – თქვენ ხართ განვითარებადი ქვეყანა და სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს მხოლოდ დაწყებითი განათლება.

– ამერიკულ სკოლებში სასწავლო პროცესი სამი ტიპის, და C პროგრამებით მიმდინარეობს, ქართულ საჯარო სკოლებში კი, უმდაბლესი პროგრამა ფუნქციონირებს.

ამერიკელ მოსწავლეებს, რომლებიც მაღალი დონის ან C პროგრამებით სწავლობენ სკოლაში, შეუძლიათ სხვადასხვა დონის უნივერსიტეტებში ჩაბარონ.

მე სამჯერ ვარ ნამყოფი ამერიკაში და იქაური სკოლების საკითხი კარგად მაქვს შესწავლილი.

ქართველ მოსწავლეს კი, რომელიც დაბალი დონის პროგრამით არის მომზადებული, აკრძალული აქვს მაღალი დონის განათლების მიღება.

განათლების დონეს ჩვენთან განსაზღვრავს ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ეროვნულ გამოცდებზე ხდება არა ცოდნის, არამედ უნარ-ჩვევების შეფასება. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ უნივერსიტეტის პირველკურსელებს ცოდნის ისეთი დონე აქვთ, როგორც ადრე VII კლასელებს ჰქონდათ.

სახელმძღვანელოების შედგენა ხდება პროგრამის მიხედვით. X კლასის ფიზიკის სახელმძღვანელოში მაგალითად, სურათებს მეტი ფართობი აქვთ დათმობილი, ვიდრე ტექსტებს.

ტექსტები სკანდალური შეცდომებით არის სავსე, რაც ავტორის დაბალ კვალიფიციურობაზე მეტყველებს. სურათები კი საბავშვო ბაღის ბავშვებს უფრო შეეფერება, ვიდრე X კლასელებს.

დღევანდელ ხელისუფლებას აწყობს გაუნათლებელი საზოგადოება, რადგანაც მისი მართვა უფრო ადვილია.

2003 წელთან შედარებით დღეისათვის სკოლების რიცხვი 1,5-ჯერ შემცირდა

განათლების ჩინონიკებისაგან არაერთხელ გვსმენია, რომ აქცენტი ინგლისურ ენასა და კომპიუტერზე უნდა გაკეთდეს.

ნათელია, რომ ქართველ ახალგაზრდობას ტურისტების მომსახურე პერსონალად და ჯარისკაცებად ამზადებენ..

ჩვენი ჯარისკაცები კი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმოებულ ომებში საზარბაზნე ხორცად იქნებიან გამოყენებულნი.

ასეთია სახელმწიფოს ინტერესი.

ბიუჯეტიდან მთელი განათლების სისტემისათვის გამოყოფილია 7,5%.

ამ დროს რუსეთმა განათლებისათვის ბიუჯეტიდან 20% გამოყო.

უნდა გვახსოვდეს, რა დიდ წარმატებას მიაღწია ომის შემდეგ დანგრეულმა იაპონიამ მას შემდეგ, რაც მან განათლებისათვის 60% გამოყო. შეგიძლიათ გააზიროთ ასევე გამოგზავნოთ მეგობრობა და იხილოთ უამრავი

საინტერესო სტატია და გამონათქვამი, ასევე შეგიძლიათ გამოიწეროთ გვერდი.

შერაბ ჯიბლაძე – პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

რედაქტორის მინაწერი: რა შეიძლება ითქვას დამატებით საქართველოში განათლების სისტემაში არსებულ ვითარებაზე. ვერაფერ ახალს ვერ ვიტყვი. მოსწავლე, რომელიც პირველი კლასიდან XII კლასამდე რეპეტიტორთან ემზადება, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში განათლების სისტემა არ არსებობს. დიდიხანია ვაპირებ ამ თემაზე წერილის გამოქვეყნებას, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლებში არსებული ვითარება ნამდვილად არასახარბიელოა, დაწყებული სასწავლო პროცესიდან დამთავრებული საარმზრდელო პროცესამდე. ახლო მომავალში შევეცდები კონკრეტული ფაქტებით გულწრფელად გაგიზიაროთ ის გულისტკივილი, რასაც ჩვენ სკოლებში ვხედავთ.

ჩვენი ქალაქის „ქრონიკები“

1. კიბეები გვჭირდება, კიბეები!

ნათქვამია: „ურემი რომ გადაბრუნდა, გზა მერე გამოჩნდაო!“ თებერვალში ხვავრიელად რომ მოთოვა, ქალაქის დაქანებულ-დამრეც ქუჩებზე უცენ „გამოჩნდა“ ქალაქის ცენტრში აქა-იქ ასფალტის ტროტუარების მაგიერ, ჩამოსასვლელი კიბეების საჭიროება, ხელის მოსაკიდ მოაჯირებთან ერთად! ასაკოვანი, მოხუცი ადამიანებისთვის თოვლის მოსვლის შემდეგ, ვინც დამრეც-დაქანებულ ქუჩებზე ცხოვრობს, პრობლემად არის ქცეული ქალაქის ცენტრში ჩამოსვლა. ფეხი სხლტება, ხელმოსაჭიდი არაფერია, დაეცემი და ტკივილებს ვინ ჩივის, მოხუცის მყიფე ძვლები განა რას გაუძლებს. ბორჯომში, მოგეხსენებათ, დამრეც-დაქანებული ქუჩები ბევრია: სააკაძის ინაურის, გურამიშვილის ქუჩები, გოგიას ციხის და ფიროსმანის შესახვევები, ჩიხები, ასეთი ქუჩებია ახალ უბანში და სხვა უბნებშიც.

ქალაქის ინფრასტრუქტურის სამსახურმა ბოლო წლებში ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა. ჩვენს უბანში, გოგიას ციხის და ფიროსმანის ქუჩების უბანში, ფართე გამძლე ფილებით დაგებული კიბეები გაკეთდა ყოფილი ლიმონათის სააქმქროს გვერდით. ყოფილი თიბისი ბანკის ჩამოსასვლელ ჩიხში, გოგიას ციხიდან ჩამოსასვლელი საკმაოდ გრძელი კიბე „მთის ხეობამდე“ და „მთის ხეობიდან“ ცენტრალურ, რუსთაველის ქუჩამდე. ლამაზი, ფართე კიბე გაკეთდა წმ. ნინოს ქუჩიდან ძველ ადმინისტრაციულ შენობამდე, „ჯეოჰოსპიტალსის“ წინ და სხვაგან. თავისი მოაჯირით მრავალსაფეხურიანი კიბე გაკეთდა მტკვრის გადაღმა, დიდი ხიდის ერთ-ერთი კუთხიდან ჩამოსასვლელი. ამ კიბის გამო ჩვენს გაზეთში მოქალაქეთა სამადლობელიც დაიწერა.

ქალაქის სხვა უბნებშიც გაკეთდა საფეხმავლო კიბეები, მაგრამ აშკარად არასაკმარისია. კარგი იქნება, თუ ზემოთ დასახელებულ ქუჩების გასწვრივ, ასფალტის ტროტუარების ნაცვლად, ასეთი კიბეები დაიგება, თან აუცილებლად ხელმოსაკიდი მოაჯირებით. პოლიციის შესახვევთან, ფიროსმანის ქუჩაზე ასასვლელად ახალგაზრდობაშიც და შემდგომაც ბევრი მოხუცი ამმიყვანია და ჩამომიყვანია ხელკავით და ჯოხის დახმარებით. ახლა კი მე დამჭირდა ასეთი დახმარება! ასეთივე კიბეები თავისი მოაჯირებით უნდა დაიგოს სააკაძის ქუჩის თითქმის მთელ სიგრძეზე, ინაურის ქუჩაზე და ყველგან, სადაც საჭიროა! თუნდაც ისეთი სიგანე - სიფართოვის, ორი ადამიანი ძლივს რომ გასცდეს ერთმანეთს. მთავარია, ასეთმა კიბე-მოაჯირებმა ავტომანქანების მოძრაობას არ შეუშალოს ხელი!

2. ჩვენი ბინა „აფსაიტშია“?!

გულს უხარია, ჩვენი ქალაქის ცენტრალური ქუჩის გასწვრივ მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების რეაბილიტაცია ხარისხიანად რომ ხდება! სულ სხვა პეწი და სილამაზე დაჰკრავს ახლა ამ სახლებს, თითქოს ხელახლა დაიბადნენ-აშენდნენ, თან კედლებიც გამყარდა. ჩამოთვლას აღარ შევუდგები, მათ რიცხვმა ათეულს გადააჭარბა. მაგრამ არის ერთი საერთოსაცხოვრებელი ბინა, რომელიც მართალია, მთლად ქალაქის ცენტრში არ არის, მაგრამ ეს ადგილი მაინც ცენტრად ითვლება. ეს ორსართულიანი საერთო-საცხოვრებელი ბინა ფიროსმანის ქუჩაზე მდებარეობს (№18), პოლიციის შენობის უკან.. აქ რვა ოჯახი ცხოვრობს. საფეხბურთო ჟარგონი „აფსაიტი“ ქართულად (თამაშგარე) იმიტომ ვიხმარე, რომ ეს ბინა შეკეთება-რეაბილიტაციის მიხედვით წლებია რიგშია, მაგრამ „აფსაიტში“ რჩება. არადა გარეგნული ფასადით მეტად

უშნო და უსახური შესახედავია, საერთო შესასვლელის ნაპირები აქა-იქ გამონგრეულია, მთლიანად შესარემონტებელი და შესაღებია, სახურავი გამოსაცვლელია. შენობის ერთ-ერთ მხარეს, ორიოდ მეტრში, ხუთი მეტრის სიგრძის და 2,5მ სიმაღლის კედელი ხშირად იშლება და ინგრევა, იქვე კიბის ხუთი-ექვსი საფეხური ჩამონგრეულია. ეს ადგილი და შენობა რამდენიმეჯერ მოინახულეს ქალაქის ინფრასტრუქტურის სამსახურის მუშაკებმა და სურათებიც გადაიღეს. მაგრამ საქმის დაწყება რატომღაც ჭიანურდება. ახლახანს ჩვენ გაზეთში მოვიკითხე მიმდინარე წელს შესაკეთებელი შენობების სია, მაგრამ ჩვენი ბინა ისევ არ არი აქ მოხსენიებული. ჩვენს ზემოთ სასტუმრო „ვიქტორია“ მდებარეობს, აქაც ხშირად ადიან და ჩამოდიან ტურისტები, ზოგჯერ გოგიას ციხის მოსანახულებლადაც მიდიან და მთის ფერდობზე არსებული ბილიკით და ეს უსახური შენობა ბორჯომზე ნამდვილად არასასურველ შთაბეჭდილებას ქმნის. ჩვენც მოგვხედეთ, ძვირფასო ხელისუფლებავ!

უშანგი ჯანგირაშვილი

რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებიდან

ცხოვრების ერთი ნაბიჯი

ადამიანს დაბადებიდან ბედი - იღბალი უნდა დაჰყვეს. ამ გაუსაძლის და უსიყვარულობით სავსე სამყაროში უიღბლო კაცის ცხოვრება დიდი ტვირთია.

ნათქვამია, ადამიანთა ბედ-იღბალი რაც არ უნდა განსხვავებული იყოს, ბედნიერება და უბედურება მაინც ათანაბრებს მათ. განწირული სულისკვეთების, გმირობის, სულიერი ტანჯვის და აღზევების მთავარი ინსპირატორიც ბედია. ბედი, რომელიც მუდამ თან გვდევს და ბედისწერის მოულოდნელობებით სავსე გზაჯვარედინებზე ისე გვაწრთობს, კლდე-სავით უდრეკს, „უხორცოსავით უშიშს“ და ხშირად უსუსურსაც ხდის ადამიანს.

„ბედი მომეცი და სანაგვეზე გადამაგდეო“. ეი. ყველაფრის განმსაზღვრელი ბედი ყოფილა. ჩვენს ირგვლივ არიან ადამიანები, ვისთვისაც ეს წუთისოფელი „მამაც არის და მამინაცვალიც“, უფრო ხშირად კი ქარიშხალივით თავსდამტყდარი ბედისწერა, რომელსაც თუ შეუშინდები „ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.

როდესაც ბატონი პავლე აზარაშვილის წიგნი „ბედის ტრიალი“ წავიკითხე, ყურში მედროგე პავლეს ცნობილი სიმღერა ჩამესმა: „ბედის ბორბალი ტრიალებს“. გიორგი შენგელაიას გენიალური კინოშედევრი, ადამიანური ყოფის გამომხატველი დრამატული კადრები ცხადყოფს, რომ ბედისწერა მოულოდნელობებით სავსე სანაპირო.

ამ გაწვალებულ წუთისოფელში, რამდენი ვაება და ტკივილია, რამდენი განცდაა. რეალობა კი ტრაგედიისა და დრამის სინთეზია. ერთი ადამიანის ირგვლივ უზარმაზარი დოლაბი დატრიალდა: დაჭერა, გადასახლება, დაკითხვა, პატიმრის სტატუსი, ათასგვარ ადამიანებთან შეხვედრა, კითხვა, პასუხი, სიჩუმე... ხშირ შემთხვევაში კი კითხვები ჯობია პასუხებს, დუმული ოქრაა... მოთმენა კი უდიდესი გამძლეობა და ერში ასკეტური ყოფის ტოლფასი... ეს კი ბედისგან ცხადად და ფარულად მონიჭებული მისიაა, რომელსაც თუ შეძლებ და გაიტან, ჯვარივით უნდა ატარო მთელი ცხოვრება.

ათასგვარი ბრალდება, ცხოვრების ათი წელი გაუსაძლისი ტკივილების, სულიერი და ფიზიკური ბრძოლის ათასი კითხვის ნიშანი, პასუხი მაინც გაუცემელია. ერთადერთი სიტყვა - რისთვის? ყოველივე უსაფუძვლოა და სიტყვა - რისთვის რექვიემივით მეორდება მთელი ცხოვრების მანძილზე. „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო□, მაგრამ სად, ვისთან, როდის, როგორ? როდესაც ათი წელი კონტროლი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური, ფიქრები - მრავალი და გაუთავებელი პატიმრობაში კი დრო გრძელდება... თითქოს გეჩვენება, რომ ტუსაღობა ნელი ნაბიჯებით მიდის წინ - მიიზლაზნება.

მემუარებში ჩანს მთელი ცხოვრება, თავისი სიგრძე სიგანით, ყველა დეტალი სიცხადთაა გამოხატული. უფალმა დედამიწელებს გამოცდა დაუდგინა. გააჩნია ვინ როგორ ჩააბარებს მას.

ბატონმა პავლემ გამოცდა ნამდვილად ჩააბარა ღვთის, მოქალაქეობის, საზოგადოების წინაშე. ათასგვარ, მეხთატეხას გაუძლო.

მართლაცდა წისქვილის დოლაბი დატრიალდა მის თავზე, ოღონდ ცხოვრების ჭიდილთან შერკინებული დოლაბი.

მთელი ცხოვრება - სიმართლის ძებნა, „მე უდანაშაულო ვარ“. რა არ ნახა, ვის არ შეხვდა, რა არ გადახდა თავს. დიახ, ათი წელი სიკვდილ-სიცოცხლესთან შეხვედრისა და თუნდაც განშორებისა, ეს ყოველივე მეორდება მრავალჯერ.

მრავალჯერ დაუგეს მახე, დიდხანს იარა ბენვის ხიდზე, ბევრი კაცის ბრძანება შეასრულა, უხმოდ თავაუღებლივ იშრომა, იღვაწა. პატიმრობაში უფრო ძალუმად ჩანს ხოლმე ადამიანის შრომა, ერთმა „უსაფუძვლო დანაშაულმა“ ბევრი რამ დაანახა, ყოველივე გამოაცდევინა, ბევრ რამეში ჩაახედა.

მისთვის სამყარო არაერთხელ შეიცვალა. გაჭირვებამ, გისოსებმა ბევრი რამ ასწავლა, მოანატრა. კაცი ფიქრთა იდუმალებაში ჩაერთო, ყველაფერი შესწირა საკუთარ ღირსებას, ჯანმრთელობაც კი, რომელიც ყველაზე ძვირფასია და რომელსაც ფულით ვერ იყიდი - თითქოსდა ყველაფერი დაკარგა, მაგრამ სადღაც შორიდან, „მაგადანის რომელიღაც პოლუსიდან ხმა იმედისა, ხმა ბრძოლისა და თავდადებისა“. „როგორმე ყველაფერს გაუძლოს, აიტანოს, რეალობის შეგრძნებამ მიახვედროს, გაარჩევინოს კეთილი და უკეთური.

დიახ, გაჭირვებამ იცის ნაბიჯების სწორად გადადგმა, რათა შემდეგ სასურველ შედეგს მიაღწიოს კაცმა - რასაც ნანინანატრი თავისუფლება ჰქვია - ვისგან? რისგან თავისუფლება, საკუთარი თავისაგან? ძე კაცისაგან? თავისუფლება „დანაშაულისაგან“, რომელიც არ ყოფილა. - რა მძიმე განცდაა არარსებული დანაშაულის განცდა, რომელსაც სამწუხაროდ ტანჯვა-წამება სდევს თან, იმისთვის, რომ სამზეოს გამოხვიდე - საქართველოს მზე მაინც სხვანაირად ანათებს, იმნაირად, კაცს გულს რომ გაუხარებს და გაათბობს.

და მაინც, ისმის კითხვა: - რისთვის ჩაებით საიდუმლო ორგანიზაციაში?

უპასუხოდ რჩება.

გადაგარჩინოს მარჯვენამან შენმა. ასე მოხდა პავლე აზარაშვილის ცხოვრებაშიც.

მიწაც ამუშავა, დაზგასთანაც დადგა, ხის მასალაც დაამუშავა, გაჭირვებამ, მწუხარებამ თავისი თავის კონტროლი ასწავლა. სიტყვა, ქმედება მოზომილიც ჰქონდა და აწონილიც, რათა სხვათა თვალში უწესრიგო არ ყოფილიყო. საშუალო ტექნიკური განათლება ზუსტად და სწორად გამოიყენა „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი - გაახარებს ვისმეს განა, თაფლში - ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა“ - უთქვამს პოეტს.

ცხოვრებისაგან ვეება გამოცდილებაც მიიღო, დახუნძლული ოჯახიც შექმნა და მაინც რამ - გააძლებინა ამ „უსწორმასწორო წუთისოფელში“ მოთმინებამ, შრომისუნარიანობამ, წინდახედულებამ, შინაგანმა სიძლიერემ.

არსთა გამრიგემ აკურთხა მისი ცხოვრების გვირგვინი. დანარჩენი მკითხველისათვის მიგვინდია.

ჯემალ გაბელია

მიეძღვნა დაუნის საერთაშორისო დღეს

ტყე განსაკუთრებული მნიშვნელობის სიმდიდრეა!

21 მარტს ტყის საერთაშორისო და დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე აღინიშნა.

ღონისძიების ფარგლებში, ანიმირებული მანგას „ტყე ჩემი მეგობარია“ ჩვენება გაიმართა, რომელსაც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **კახა კაკაბაძესთან,** ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროს **კახა ცერცვაძესთან,** UNDP-ის მუდმივ წარმომადგენელთან საქართველოში **ნიკ ბერესფორდთან** და იაპონიის ელჩის მოადგილე **სუძუკი ტოშიუკისთან** ერთად ესწრებოდნენ.

ანიმირებული მანგა „ტყე ჩემი მეგობარია“ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის ნაწილია და ადამიანსა და ბუნებას შორის ჰარმონიული ურთიერთობის მნიშვნელობას ეძღვნება. ფილმი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), იაპონიის საელჩოსა და ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით შეიქმნა.

- მანგას „ტყე ჩემი მეგობარია“ ჩვენებას ჩვენს „მზის შვილებთან“ ერთად დავესწარით, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, **კახა კაკაბაძემ,** რომელმაც ღონისძიებაზე ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ტყე უნიკალური საგანძურია, რომელსაც მუდმივად სჭირდება ზრუნვა, რაშიც საზოგადოების როლი უმნიშვნელოვანესია.

„გარემოსდაცვითი განათლება და ტყის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, იმსჯელონ გარემოსდაცვით საკითხებზე და ჩაერთონ პრობლემების მოგვარებაში“, - აღნიშნა ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსმა, **კახა ცერცვაძემ.**

ღონისძიების ფარგლებში, დაჯილდოვდნენ ახალგაზრდები ანიმაციის მეორე ეპიზოდის საუკეთესო სცენარისთვის. კონკურსი გაეროს განვითარების პროგრამამ, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით, გამოაცხადა. კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა სამი გამარჯვებული: დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაფანანთკარის საჯარო სკოლის მოსწავლე ბარბარე არაბული; ეკოკლუბი | **(ნია ადეიშვილი და ნუცა ონოფრიშვილი)** და მცხეთის №1 საჯარო სკოლის ეკოკლუბი „ქლოროფილი“ **(ლუკა იმერლიშვილი, გიორგი ოდიშელიძე, მარიამ ქაცარავა, ქეთი გულბათაშვილი, ლიზი მრევლიშვილი, მარიამ თვალიაშვილი).** გამარჯვებულებს პრიზები და საჩუქრები გადაეცათ.

- ტყე სიმდიდრეა და საქართველოსთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყნის ტერიტორიის 40-ზე მეტი ტყითაა დაფარული. ეს პროექტი მაგალითია იმის, რომ ტყის დაცვას სიკეთე მოაქვს როგორც ეკონომიკისთვის, ისევე ნებისმიერი ადამიანისთვის. ახალგაზრდების ჩართულობა და აქტიურობა უდიდეს როლს ასრულებს ტყის დაცვის საქმეში. ჩვენი ტყის დაცვის საინფორმაციო კამპანია აგებული იყო იაპონური მანგას სტილში გადაღებული ანიმაციის „ტყე ჩემი მეგობარია“ გარშემო. მოხარულები ვართ, რომ ეს კრეატული პროექტი ინსპირაციისა და აქტივობის წყარო გახდა ბევრი ახალგაზრდისთვის საქართველოში, - აღნიშნა გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში **ნიკ ბერესფორდმა.**

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცენტრ „თებეს“ ბენეფიციარებმა ღონისძიება გამართეს. ისინი აუდიტორიის წინაშე სხვადასხვა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრით წარსდგნენ.

დღის ცენტრს მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სტუმრობდნენ. მათ ბენეფიციარებს საერთაშორისო დღე მიულოცეს და სიმბოლური საჩუქრებიც გადასცეს.

საღამოს „თებეს“ ბენეფიციარებისთვის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში სპექტაკლი გაიმართა.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, გაეროს ეგიდით, 2011 წლიდან აღინიშნება. ყოველ წელს ამ დღეს მსოფლიო სხვადასხვა გზავნილით ხვდება. 2023 წლის მთავარი გზავნილი კი არის - ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის.

კარი, გამორჩეული თვისებებით!

გურამ დგებუაძე დაბა ახალდაბაში, წერეთლის ქუჩის თითქმის ბოლოში ცხოვრობს. ყავს შესანიშნავი დედა, ქალბატონი ნათელა და ერთგული დის იზოლდას ოჯახი, ორი დიშვილით და სიძით.

გურამის მამა, ბატონი ალექსანდრე გამორჩეული მშრომელი და უბოროტო კაცი იყო, რომელიც ოჯახს თითქმის 30 წლის წინათ გამოაკლდა. მისმა ქვეყნიდან წასვლამ ოჯახს, დიდ სამეზობლოს და სანათესაოს გული დაწყვიტა.

მამის ტვირთი გურამს დააწვა მხრებზე. მას მხარში ედგა მშობელი დედა, მეუღლესთან შეთანხმებით გურამს ასევე გვერდში დაუდგა გათხოვილი უერთგულესი უფროსი და - ქალბატონი იზოლდა, რომელიც უმცროს ძმას ყურადღებას არ აკლებდა, არც მეზობლებს მიუტოვებიათ, განსაკუთრებით გურამის თანატოლებს.

აღნიშნული დიდი ტკივილის შემდეგ, ფეხზე მდგარ ოჯახს ახალი უბედურება დაატყდა თავს, გაურკვეველი მიზეზებით გურამის სახლს ცეცხლი გაუჩნდა და მეხანძრეებისა და მეზობლების დახმარებით შეძლეს ცეცხლის ჩაქრობა, მაგრამ ცეცხლმა დიდი მატერიალური ზარალი მოუტანა მრავალტანჯულ ოჯახს. თავიდან გახდა საჭირო სახლის აშენება. ოჯახის წევრები, სანათესაო, სამეზობლო კვლავ გვერდით დაუდგა გურამს და რამდენიმე წელიწადში ოჯახმა შეძლო კვლავ მტკიცედ დამდგარიყო ფეხზე.

დიახ, მხოლოდ სულით ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ გაუძლონ სიძნელეებს, სირთულეებს. ანდა, რა არის ჩვენი ცხოვრება, თუ არა სიძნელეებთან და პრობლემებთან ბრძოლა. სასიხარულო და საამაყოა, როცა უანგაროდ მეზობლები და მეგობრები შენს გვერდით არიან, მაშინ შენს ბრძოლას და შრომას მტკიცე საძირკველი აქვს, სევდა და მწუხარებაც უკან იხევს...

სწორედ აღნიშნულის ფონზე მინდა ბატონი გურამის პიროვნების შესახებ ვისაუბრო, რადგან სწორედ ასეთი ადამიანები არიან მისაბაძი.

ხაზგასმით უნდა ითქვას, ამდენი ტრაგედიების ფონზე ბატონ გურამს დაუგვიანდა საკუთარი ოჯახის შექმნა, თუმცა ნამდვილად სანუკვარი სასიძოა თავისი იერსახით, ზნე-ჩვეულებების დაცვით, მაღალი კულტურით, თანადგომის მრავალი მაგალითებით, ასეთი პიროვნებების ხილვა და გაცნობა მართლაც დიდი ბედნიერებაა ადამიანებისათვის.

გურამი მეტად ყურადღებიანია არა მარტო ნაცნობ-მეგობრებისათვის, არამედ ბევრჯერ უანგაროდ დახმარებია სრულიად უცნობ ადამიანებსაც.

ბატონი გურამი მრავალმხრივ განვითარებული კაცია, თანაბრად ეხერხება საოჯახო საქმეც და შინა მეურნეობის გაძღოლაც. რომ იტყვიან, ოქროს ხელები აქვს, რა არ გამოდის მისი ხელიდან, ხის თუ რკინის დამუშავება, ბოსტნეულის მოყვანა, ხეხილის გაშენება, მოვლა-პატრონობა, გასხვლა, ხის ძირების შემობარვა, თიბვა და დაბინავება. ერთი სიტყვით შესანიშნავი მეურნე კაცია.

გურამს თავისუფალი დრო თითქმის არ აქვს, მაგრამ არც მეზობლებს და ახლობლებს ტოვებს უყურადღებოდ და მის გარეშე არც რელიგიურ და არც სამოქალაქო დღესასწაული ტარდება.

ახლა არ იტყვით, როგორი ავტორიტეტი აქვს სამსახურში? ის ბორჯომის სალოკომოტივო და სავაგონო დეპოების სახელოსნოებში წამყვანი თანამშრომელია, ძალიან უყვართ და პატივს სცემენ.

ერთი სიტყვით, მართლაც რომ შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცია, რომლის ნდობაც შეიძლება და მისი გამოცდილების გაზიარებაც. მინდა ვუსურვო გურამს, დროულად გადაწყვიტოს ოჯახის შექმნის მნიშვნელოვანი საკითხი, რათა სანათესაოც, სამეზობლოც გაახაროს და სამშობლოს შემატოს ღირსეული შვილები.

გურამ, აბა შენ იცი, გაიხარე და ჩვენც გაგვახარე.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



ვულოცავთ!

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები მუზეუმის ღვაწლმოსილ თანამშრომელს **ალბი ლომაძეს** ვულოცავთ დაბადების 75 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს! კიდევ ბევრი წელი ეღვაწოს მისთვის ესოდენ საყვარელ მუზეუმში.

მარინა რატიანის საიუბილეო საღამო

ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში, ცნობილი პიანისტის და კლასიკურ მუსიკის პედაგოგის მარინა რატიანის საიუბილეო საღამო გაიმართა.

მოქმედმა და ყოფილმა მოსწავლეებმა, ასევე ანსამბლმა „ოტქავამ“ იუბილარი პედაგოგისთვის შეასრულეს სხვადასხვა ნაწარმოები და მიულოცეს დაბადების დღე.

ღონისძიებას ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი კულტურის დარგში **გიორგი ბუგიანიშვილი** ესწრებოდა.

მარინა რატიანი ბორჯომის სამუსიკო სკოლაში, 40 წელია კლასიკურ მუსიკას ასწავლის. მისი წვლილი განუზომელია მოზარდებში კლასიკური მუსიკის განვითარების საქმეში. მას არა ერთი წარმატებული მოსწავლე ჰყავს აღზრდილი. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია მარინა რატიანს ულოცავს იუბილეს.

მარტინელი აზრები:



ქვეყანაზე ბრძნულ აზრებსა,
ვერცერთი დრო ვერ ავნებსა.

დედამიწა ჩონგურია,
ჩვენ ვართ მისი ლარები,
ეს ქვეყანა სასტუმროა,
ჩვენ ვართ მისი სტუმრები.

ჯანმრთელობის გარეშე
ვერ სულდგმულობს ვერაფერი,
ჯანმრთელობით ვარდ-ყვავილობს
ქვეყანაზე ყველაფერი.

მარტოობა სულისა,
ტანჯვა არის გულისა.

შენგან პატივცემულობა,
ვინც გაგცვალოს ფულში,
ახლოს აღარ გაიკარო,
მიაფურთხე სულში.

ვისაც რაც სწამს, ის ტანჯავს,
თუნდ მას ენდე და მიეხდე,
თუნდ ლხინში და თუნდა ჭირში,
შენ სიკარგეს, შენ სიგლახეს,
ვინც რომ გეტყვის მუდამ პირში.

ცხოვრება გზაა სავალი,
საიქიოსკენ მავალი.

ეს ჩემი ბრძნული აზრები,
არ გეგონოთ ხუმრობა,
ისე როგორც წუთისოფელში,
ცხოვრება და სტუმრობა.

ნუ გაიჩენთ გარყვნილ ქალებს,
კახპებს, საყვარლებსა,
თქვენი ცოლები გერჩივნოთ
მათ საცდურ თვალებსა.

წუთისოფელი რა არის?
ცხოვრების რთული გზა არის.

კმაყოფილი ყველაფრისა,
ვერ იქნება შვილი ღვთისა.

გულუბრიყვო ნდობა
არის თავის მტრობა.

გარყვნილ ქალებს ფული უყვართ
და არა ვაჟკაცები,
კახპებისთვის სულ ერთია,
კაცები თუ ვაცები.

შვილს ნუ წაახდენ ფულითა,
რომ არ გათრიოს ყურითა.

სიყვარული რომ გადადის - ზიზღში,
სიძულვილია, როგორც სენი სისხლში.

ქალი ქმრისა გამცველი,
ყველაფერზეა წამსვლელი.

სადაც არ არის ნდობა,
იქ არ იქნება ძმობა.

სჯობს მდიდარი გულით
ვიდრე ოქრო ფულით.

ადამიანზე მავნებელი
ქვეყნიერებას არა ყავს მტერი.

დრო და ჟამი უცვლის ფერსა,
ყველასა და ყველაფერსა.

(გაგრძელება იქნება)

გურამ ქუნცელი (ივანიძე),
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

გენაცვალეთ ქვეყანას გულით

ღექსებსა ვწერ გულით, სულით,
ჩემი ქვეყნის სიყვარულით,
როგორც სახალხო მგოსანი
გენაცვალეთ ყველას გულით.
ბუნება სიბრძნის წყაროა,
ყველაფერს ვწერ მის მცნებითა,
ცხოვრებიდან შომდინარეს
სუყველაფერს ღვთის ნებითა.
იქნებ ვის სად გამოგადგეთ,
იქნებ ვის სად ნარგადგეთა,
თუ არაფერს არ გარგებთა,
არც არაფერს არ გავნებთა.
იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ,
კარგს გისურვებთ ყველაფერსა,
ბრძნულ აზრებზე კარგ საჩუქარს
ვერ დაგიტოვთ ვერაფერსა.
ნაიკითხეთ, შეიხახეთ,
გადაეცით ერთმანეთსა,
იქნებ ვის სად გამოგადგეთ,
ვით ნაჯახი მშრომელ გლეხსა.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თეიმურაზ მეფის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომაძე

კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ განცხადება

ბოლო პერიოდში, ყალბი ანგარიშების (ექაუნთების) მხრიდან, სამწუხაროდ, ვრცელდება მცდარი ინფორმაციები, ვიდეოები და განცხადებები, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და რომლის საშუალებითაც აღვილად ანებივრებენ კომპანია „ბორჯომში“ თანხის ინვესტირებას. აღნიშნული ქმედება აზარალებს რეპუტაციას, ასევე აზიანებს კომპანიის რეპუტაციას.

ჩვენი არაერთი მცდელობის - ყალბი ინფორმაციის და ვიდეოების დარეპორტების მიუხედავად, აღნიშნული ინფორმაცია სხვადასხვა სოციალურ ქსელში და პლატფორმაზე უწყვეტად ვრცელდება, ასევე იცვლის გავრცელების წყაროს, რაც ართულებს ჩვენი რესურსით მასთან ბრძოლას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარა თაღლითობის შემცველი ფაქტების გამოძიების მიზნით, ჩვენ უკვე მივმართეთ საქართველოს პროკურატურას. თუმცა, ყალბი ინფორმაციის გამავრცელებელი ანგარიშების და მათი მფლობელების იდენტიფიცირებამდე, ვაფრთხილებთ საზოგადოებას, რომ არ მოგყუედნენ და არ ენდონ მსგავსი ტიპის შეთავაზებებს.

იყავით ყურადღებით და გთხოვთ, მსგავსი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, დაარეპორტეთ ანგარიში.

Statement of The Company IDS Borjomi Georgia

The false information - videos and statements, has been recently spread by fake accounts regarding alleged possibilities of investment into Borjomi brand and the company. These false claims aim at misleading the society and fraudulently get access to trusting customers monetary funds, which will eventually harm not only citizens but also the reputation of the company hugely.

Despite our numerous efforts to report false videos, advertising and statements, the mentioned information is being spread on various social networks and platforms, as well as changing the source of distribution, which makes it difficult to fight against it with our limited resources.

Based on the above, we have already applied to the Prosecutor's Office of Georgia, in order to get the obvious scam investigated. However, before these fraudulent accounts and criminals behind it are fully revealed, we feel responsible to warn the society not to be deceived and not to trust offers of these types.

Be careful and if you find aforesaid information, please, report the accounts.

ადმინისტრაცია.

ტრადიციული შემოქმედებითი კონფერენცია

24 მარტს, ბორჯომი-ლიკანის სასტუმროში უმასპინძლეს ახალგაზრდული საკრებულოს შემოქმედებით კონფერენციას, სადაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდეს. „აი-დი-ეს ბორჯომთან“ არსებულმა ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ქეთინო ნოზაძემ** მადლიერება გამოხატა ბორჯომის ახალგაზრდული საკრებულოს წევრების მიმართ, მათ გულითადი მადლობა გადაუხადა აქტიურობისთვის. ახალგაზრდული საკრებულოს წევრები მართლაც, რომ განათლების ელჩებად მოევლინენ ბორჯომ-ქალაქს. ისინი გამოირჩეოდნენ აკადემიურობით და საჯარო გამოსვლისთვის აუცილებელი უნარებით. ალბათ, მერამდენედ აღვნიშნე ჩემ წერილებში, რომ ბორჯომი არის იმ

იშვიათ ჩამონათვალში ქალაქთა შორის, რომელსაც აქვს უფასო საგანმანათლებლო კერა ახალგაზრდებისთვის. ის მომავლის გულშემატკივარია და ყოველდღიურად ღირსეულად „იშრიტება“ წარმატებული მომავლისთვის.

კონფერენცია რამდენიმე სექციას მოიცავდა, რომელთა შორისაც გახლდათ ლიტერატურის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების, ეკოლოგიის, ხელოვნებისა და საღვთისმეტყველო მიმართულებები. ახალგაზრდები დაჯილდოვდნენ მადლიერების სიგელებითა და არაჩვეულებრივი წიგნებით. უკვე მერამდენე წელია ამ ცერემონიალის უცვლელი სტუმრები არიან ჩვენი ქალაქის ახალგაზრდების აღმზრდელი მასწავლებლები: ქალბატონები: **ანასტასია ხაჩიძე, თინათინ გოგოლაძე, მარინა ბერუაშვილი, ნინო ჯაფარიძე.** ასევე დაასაჩუქრეს მოსწავლეების პედაგოგებიც. სწორედ, მათი დამსახურება აღინიშნა „ თემების შეფასებისა და გამოცხადების დროს, სადაც იგრძნობოდა პატივისცემა, დაფასება, რომ სკოლა ჯერ კიდევ ინარჩუნებს ფუნქციას აღზარდოს სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული პიროვნება და ეს არასდროსაა ყავლგასული თემა.

შეხვედრაზე საპატიო სტუმრად მოწვეულნი იყვნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **დავით ზაალიშვილი,** პირველი მოადგილე, ბატონი **გიორგი ფერაძე** და სხვა ოფიციალური პირები. ბატონმა დავითმა კიდევ ერთხელ აღუთქვა ახალგაზრდულ საკრებულოს წევრ ახალგაზრდებს თანადგომა და უსურვა მათ მნიშვნელოვანი როლის შეტანა ბორჯომის მომავალში.

მონიკა ჟანტურია

ვასილ დევაძის გახსენება

პირველად მოვიდა უშენოდ ვასიკო 26 მარტი. 46 წლის უნდა შესრულებულიყავი, მაგრამ როდის გაცალა შავმა სიკვდილმა. თავზარდამცემი იყო 2022 წლის 7 ოქტომბრის დილა შენი ოჯახისათვის, შენი დედისათვის, და-ძმის გიასა და მზიასთვის, დიშვილის ანა და სიძე პაატა გოგოლაძეებისათვის, დეიდა ციური ბუჩუკურისათვის, დეიდაშვილების დავით და ბესიკ ქუშაშვილებისათვის, ბიძაშვილების ლერი და ლელა დევაძეებისათვის, მამიდაშვილების ზაქრო და ლია აჩუაშვილებისათვის, მეზობლებისა და პოლიციელი თანამშრომლებისათვის, რომელთა რიგებშიც 2003 წლიდან იდექი და ერთგულად ემსახურებოდი შენს ქვეყანას და ხალხს. ყველამ პატივი გცა და მადლობა მათ ამისთვის.

ჩვენ კი რა დაგვრჩენია? მხოლოდ ის, რომ ვილოცოთ შენი სულისათვის.

იხსენებს დედა ელიკო დევაძე

ზაზა ბერიძის გახსენება

26 მარტს შენი დაბადების დღეა ზაზა. მეთორმეტე წელია უშენოდ აღვნიშნავთ შენ დაბადების დღეს. 34 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ არ დაგცალდა. ულმობელმა ბედისწერამ შენც არ დაგინდო. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ დრო არაფერსაც არ კურნავს. პირიქით, უფრო და უფრო მეტად ამძაფრებს უშენობით გამოწვეულ ტკივილს. შენ პატარა ძმიშვილებს სოფიოსა და ზაზუკას (რომელიც შენი მოსახელეა) ხშირად ვუყვებით შენზე. შენ ფოტოებს შეყურებენ და იციან, რომ მათ საოცრად კარგი ბიძა ყავდათ. ამდენი წლის შემდეგაც გაუსაძლისია უშენობა შენი მშობლებისათვის, ერთადერთი ძმისათვის, ახლობლებისა და მეგობრებისათვის. შენ ხომ ახლა გინდოდა სიცოცხლე. იცოდე, რომ შენ მუდამ ჩვენ გულში ხარ და არასოდეს გივიწყებთ. დაბადების დღეს გილოცავთ იმიერ საქართველოში.

იხსენებს ოჯახი